საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3429/01
07/04/2021

3429-01-2-202104071059

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას გენერაციას'
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №19

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე თქვენი 2021 წლის 17 მარტის N1642 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (ერთ-ერთი ჰიდროაგრეგატის გენერატორის შეცვლა), გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული 2020 წლის 24 მარტის N 27 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში, ცხრილის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი ყველა ის ცვლილება, რაც განხორციელდა 2009 წელს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების შემდეგ;
- სკოპინგის დასკვნის მიხედვით, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს 2009 წლის 12 თებერვალს N20 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული N00190 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, გონივრული ვადებით დადგენილი ღონისძიებების შესრულების სტატუსის მიხედვით;
- სკოპინგის დასკვნაში მითითებულია, რომ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ჰესის შენობაში არსებული ჰიდროტურბინების დეტალური აღწერა, ნამუშევარ წყალში ზეთების ჩაღვრის რისკების გათვალისწინებით". გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ცხრილში (9.1. ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილ საკითხებზე რეაგირება) მითითებულია, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ

ინფორმაცია მოცემულია გზშ-ის ანგარიში, პარაგრაფი 4.2.10. თუმცა აღნიშნულ პარაგრაფში მითითებული და შეფასებული არ არის წყალში ზეთების ჩაღვრის რისკები.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე